სოფ. აძვი

# ხელშეკრულება N 9

22. აპრილი 2015 წ.

ერთის მხრივ სსიპ - გორის - მუნიციპალიტეტის - სოფელ - აძვის - საჯარო - სკოლა და მეორეს მხრივ ინდ. მეწარმე ალექსი გელაშვილი (შემდგომში - მიმწოდებელი) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვების საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას ( შემდგომში - ხელშეკრულება ) შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს კომპაქტური დისკები, ( შემდგომში - საქონელი). CPV კოდით - 30234300.

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს -124 ლარს.

## 3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

## 4. მიღება ჩაბარების წესი

4.1. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

## 5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდების ადგილია: გორის - სოფელ - აძვი - აძვის - სკოლა

5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება 5 (ხუთი) სამუშაო დღეში.

## 6. მხარეთა უფლება - მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.

## 7.პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით.

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები დაჯარიმდებიან ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით,
7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის , ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით.
8.4.ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
8.5. მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში. დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2015 წლის 22 აპრილიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკ[illegible]

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
|---|---|
| სკოლა აძვის საჯარო | ი/მ „ალექსი გელაშვილი“ |
| ს/კ 218047469 | ს/ნ 116434956 |
| ბ/კ LBRTGE22 | მის: ქ. რუსთავი, იალღუჯის 11 |
| ანგარიშის ნომერი | ანგარიშის ნომერი: |
| GE93LB0121156421019000 | GE74TB0217236010100001 |
| მისამართი გორი - სოფ. - აძვი | |

სკოლის დირექტორი
/ნ. [illegible]/

# მიღება-ჩაბარების აქტი

სოფ.აძვი 27 აპრილი 2015წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ აძვის საჯარო სკოლა (შემდგომში დამკვეთი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო ზიძინაშვილის სახით და მეორეს მხრივ ინდ. მეწარმე ალექსი გელაშვილი (შემდგომში შემსრულებელი) ვთანხმდებით მასზედ,რომ შემსრულებელმა დამკვეთს გაუწია 22 აპრილ 2015წ N9 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობა კერძოდ: სკოლის საჭიროებისთვის „კომპაქტური დისკები "მონიტ 124 ხოლო დამკვეთმა გადაუხადა შესრულებული სამუშაოს ღირებულება (ასოცდაოთხი) ლარი.

აქტი სწორია რასაც ვადასტურებთ ხელმოწერებით.

დამკვეთი: სკოლის დირექტორი ნ. /ნ.ზიძინაშვილი/

შემსრულებელი: ა. გელაშვილი /ა. გელაშვილი/